# ცნობის ფურცელი
## სურათებიანი დამატება

დამატების № 102. ხუთშაბათი, 20 მარტი 1903 წ. გაზეთის № 2102.


# სურათები

(შემდეგი*)

IV

— აა, ვასილ ვასილიჩს!—მიეგებნენ მეგობრები, როდესაც ვასილ ვასილიჩმა შემოაღო კარი და შემოვიდა.

— უჰ, რა ცივა, რა ცივა, ეს შეჩვენებული! — დაიწყო შემოსვლის უმალ ვასილ ვასილიჩმა და სამივეს ხელი ჩამოართვა.—კაი პატრონი ძაღლს არ გააგდებს კარში ამისთანა ყინვაში! ახლა ქარიც ამოვარდა, ეს უბედური... სხვა, ყმაწვილებო, რასა იქთ, რას აკეთებთ?

— დაბძანდით, ვასილ ვასილიჩ, პალტო გაიხადეთ, ჩაი მიირთვით! — შესთავაზა ზახარი ზახარიჩმა და უბძანა ჩაი შემოეტანათ.—სადა ხართ, აღარა სჩანხართ? ნიკალაი ნიკალაიჩი იძულებული იყო მოენახეთ.—განაგრძო ზახარი ზახარიჩმა და სკამი მიუწია სტოლთან.

ვასილი ვასილიჩი მიჰხვდა, რისთვისაც ჰსძებნიდა ნიკალაი ნიკალაიჩი, ტუჩებზედ სიამოვნების ღიმილმა გაურბინა, პალტო მარდად გაიძრო, ცხვირსახოცით გაყინული ულვაშები მოიწმინდა და სკამზე ჩამოჯდა.

— ეჰ, ზახარი ზახარიჩ, ნუღარა მკითხავთ, ნუღარა!—დაიწყო ვასილ ვასილიჩმა.—დარდისაგან, არ ვიცი, რა ვქნა! გაიგებდით, თხუნელამ როგორ გადამიხადა... მაშ დედას დაველიე, თუ იმას მე რა უყო! — ვასილ ვასილიჩი მოჰყვა დაწვრილებით თავის ისტორიას თხუნელასთან, თუმცა ეს ისტორია არა ერთხელ ეამბნა იმათთვის. ხანდისხან გაცეცხლებულს იქამდის გაიტაცებდა ხოლმე, რომ სკამზედ ველარ ისვენებდა და უფროსსაც კი გადასწვდებოდა, მაგრამ შეჰხედავდა თუ არა ნიკალაი ნიკალაიჩს, მაშინვე სიტყვებს აურ-დაურევდა, უფროს ანგელოზად დაჰხატავდა და მთელ ცოდოს სულ თხუნელას კისერს მოახვევდა...

ივან გრიგორიჩს პირველ სიტყვიდანვე მოსწყინდა ყურის გდება. „ძალიან მედარდება!“ გაიფიქრა თავისთვის და სტოლზე თავი მისდო. ზახარი ზახარიჩს ხელში კალამი ეჭირა და ჟურნალს გარშემო ხაზებს ავლებდა, ფიქრით კი ნინასთან იყო, თუმცა დრო გამოშვებით თავს აკანტურებდა, თითქო ძალიან შედიოდა ვასილ ვასილიჩის მდგომარეობაში. ნიკალაი ნიკალაიჩიც მალე წამოდგა სკამიდან, მოჰყვა სიარულს და ისიც ხან ნინას ფიქრში და ხან მომავალ ვახშამის ხარჯთ-აღრიცხვაში იყო გართული.

— დიახ, ბატონებო ესეთი ქვეშ-ქვეშა კაცები აფუჭებენ ყველგან საქმეს!—როგორც იყო გაათავა სიტყვა ვასილ ვასილიჩმა და ნიკალაი ნიკალაიჩს შეჰხედა. შემდეგ ოფლიან სახეზედ ხელსახოცი გადისო და სკამზედ გასწორდა. „Вотъ и подите!“ წამოისროლა ერთი კიდევ და პაპიროზს მოუკიდა.



გენრიხ იბსენი

— ვასილ ვალიჩ, რა გქონდათ იმდენი ივანოვთან, რომ ასე დაიგვიანეთ?—შეეკითხა ნიკალაი ნიკალაიჩი.

— არაფერი! ჩემთვის ჩაფიქრებული მოვდიოდი, ერთბაშად კლუბთან შემეფეთა, ხელში „საქმე“ ეჭირა, დამინახა თუ არა, ზურგზედ მიიფარა, მეც ვითომ ვერ დავინახე, გამაჩერა და მოჰყვა ბაქი-ბუქიაობას, როგორც იცით: აი ჩათმაში „ზაიავკა“ დავდგიო, აი ოქროს მრეწველთა ამხანაგობა შევადგინეო და ვინ მოსთვლის რეებს!.. აღარ გამიშვა და აღარა! სიცივეში გამაფიჩხა იმ ოხერმა, იმანა!—ვასილ ვასილიჩმა ცოტა შეისვენა, პაპიროზს მოუკიდა და ისევ განაგრძო:—ივანოვი კი არ არის გველამძუა! წარმატება მიიღო და აღარ იცის რა ჰქნას... ჯერ წინად რა იყო და ეხლა ხომ ლამის ღამეც მუშაობაში სული ამოუვიდეს! არა და ვითომ ჩემს მდგომარეობაშიაც რომ შევიდა! მომიყვა თავისებურად, მელურად, რა არის დაეფქვევინებინა რამე და მერე თითო - თითოდ ჩაეკენჭა თხუნელასთვის... საზიზღარი!—შეუკურთხა მაგრა და ჩაის ჭიქაში კოვზი მოურია.

— რატომ არ იკითხავთ, ვასილ ვასილიჩ, რისთვის გეძებდით? –შეეკითხა ზახარი ზახარიჩი, კალამი ხელიდან გააგდო და სკამზე გასწორდა.

— ქეიფს თუ აპირებთ!

— სწორედ! — ჩაერია ნიკალაი ნიკალაიჩი. — თამადადაც თქვენ აგირჩიეთ: აბა, თქვენ იცით, ვასილ ვასილიჩ, როგორც გაუძღვებით საქმეს! როგორა ჰფიქრობთ, სად ემჯობინება?

— სადა... ვეტცელთან კარგი იყო, მაგრამ ну его къ чорту. ისევ ტილიპუჭურასთან სჯობია. მერე რა ხაში ექნება ეხლა! მაგრამ რა!—მოულოდნელად დაიღრიჯა და ხელი დაიქნია:— ქეიფის გუნებაზე კი აღარა ვარ ამდენი დარდის პატრონი და რა გამოვიდა! ისევ თქვენ წადით, მე ხელს შეგიშლით მხოლოდ...—დააბოლოვა ვასილ ვასილიჩმა და ჩაის სმას მოჰყვა.

— აბა, დარდიან გუნებაზედ უნდა ქეიფი, ვასილ ვასილიჩ!—ამშვიდებდა ზახარი ზახარიჩი.

— რას იტყვით, ყმაწვილებო, სად ემჯობინება?—მიუბრუნდა ზახარი ზახარიჩი ყველას.

— ჩემის ფიქრით,—ხმა მისცა ნიკალაი ნიკალაიჩმა, — „ავრორაში“ სჯობიან. აი სად არიან გოგოები და რა გოგოები მერე, ჯან! ამოირჩიე რამდენიც გინდა და მოისვი გვერდით... მე უფრო, იცით, ვინ მომწონს, ზახარ ზახარიჩ? აი ის ჩასხმულ-ჩასხმული რომ არის... გახსოვს, როგორ ათამაშებდა თვალებს, გეგონებოდათ ისრებს გიყრის თვალებშიო... მართალია, ტყავს კი აგვაძრობენ იმ ოხერში, მაგრამ...

— ეგ რომელი? ის ბებერი?—ჰკითხა ზახარი ზახარიჩმა და ტუჩები უსიამოვნოდ აიწია.

— ბებერი გეგონებათ თქვენა! ვერ არის ბლომი, უძვლო, უფხო და თეთრ-წითელი! — მიუგო ნიკალაი ნიკალაიჩმა.

— მე კიდევ უფრო, იცით, ვინ მომეწონა: თუ გახსოვთ, სულ ახალგაზდა, აფიცერთან რომ იჯდა, ჩვენ წინ! რა თვალები, რა შუბლი, რა პაწია პირი, რა ტანი, რა ლამაზი... რაღა გითხრათ, თვალები ზედ დამრჩა, თვალები! აჰ, ერთი ის...

*) იხილე დამატება № 100.

— ვიცი, ვიცი, ვისზედაც ამბობ! მაგრამ ის შანსონეტკა როდია, ვიკითხე, არა! ის გარედან დადის თურმე, როგორც გასტროლიორში!—ჩამოართვა სიტყვა ნიკალაი ნიკალაიჩმა.

— მაშ უფრო კარგი!

— არა, ძამიავ, მე ყველაფერი ვიკითხე, ის რომ მიიწვიო თურმე, უეჭველად კაბინეთიც უნდა დაიჭირო, რაც ჩვენ ჯიბისთვის მეტად საგრძნობელი იქნება!..

— ერთი მითხარით,—ჩაერია ივან გრიგორიჩი:—ბოთლი ღვინო რა ღირს იქა?



ფერხული.—სურათი კეისერისა

— ძალიან ძვირად! ღვინო კიდევ არაფერი, სამ აბაზზედ ნაკლებ კერძი არ არის, მერე ისეთს მოგიტანენ, რომ პირში არ ჩაიდება! ამ მხრივ იქ არ ვარგა. მაგრამ საქმე ხომ ეს არ არის, ივან გრიგორიჩ, საქმე ქალებია, ქალები, მერე რამდენი და რა ლამაზები!.. სახელად მომღერლებს ეძახიან...

— წავიდეს თქვენი რაღაცა „ავრორაა“!.. ისევ გიორგისთანა სჯობია!..—გააწყვეტინა სიტყვა ივან გრიგორიჩმა:—იქ კი ცოტა გოგოებია! აი დედასა! ზაფხული უნდა იყოს, რომ ერთი „შიკით“ ჩავაქანოთ ეტლი სოსანას ბაღში, დიდუბეში! რასა იქ, რომ ზამთარია ეს ოხერი...

ზახარი ზახარიჩი და ნიკალაი ნიკალაიჩი კიდევ დიდხანს ბაასობდნენ ქალებზე. ვასილ ვასილიჩი ჩაფიქრებული ბოლთასა სცემდა ოთახში.

— ჰა, მივდივართ თუ არა, ხალხნო?—შეუტია მოთმინებიდან გამოსულმა ივან გრიგორიჩმა და სკამიდან წამოდგა—მე მეძინება...

— ეხლავე, ეხლავე!—მიუგო ნიკალაი ნიკალაიჩმა.

— „Я обожа..а... ю. я обожа..а... ю...“—მოჰყვა ტკბილად ივან გრიგორიჩი, ბოლოს მიუბრუნდა ვასილ ვასილიჩს და მკლავში ხელი წაავლო:—ჰა, რა ფილოსოფოსივით ყურები ჩამოგიყრია, ничего! სულ გაივლის!... თქვენ შახად იყავით!

— ჩემის აზრით,—გადასწყვიტა ზახარი ზახარიჩმა:—ჯერ „როსსია“ში წავიდეთ, ერთი ხელი ბილლიარდი გავაგოროთ და მერე თავისით გადასწყდება კითხვა, თუ სად ემჯობინება... მანამდის ვასილ ვასილიჩიც გუნებაზე მოვა!—დაუმატა ზახარი ზახარიჩმა და ღიმილით შეჰხედა ვასილ ვასილიჩსა.

— არა, არა! უკაცრავად, ყმაწვილებო, მე დღეს არ შემიძლიან...—უარზედ იდგა ვასილ ვასილიჩი:—მე ერთი წუთით შემოვედი საქმეზედ... ნიკალაი ნიკალაიჩ, მე თქვენ მინდოდით მენახეთ!—მიუბრუნდა ნიკალაი ნიკილაიჩს.

— რა მოხდა ვასილ ვასილიჩ?—დაეკითხა ნიკალაი ნიკალაიჩი და უნებლიეთ ორი ნაბიჯი გადადგა უკან.

— რაღა რა მოხდა, წარმოიდგინეთ, ერთი გროში რა არის, ერთი გროში არა მაქვს ჯიბეში და ჩემს ცოლსაც სწორედ ეხლა მოუნდა ლოგინზედ დაწოლა. თითქო ჩემი დ
არ მეყოფოდეს, მომდგომია ჩემი სიდედრი, გინდა თუ
ექიმი მოიწვიეო. საიდან? ვეკითხები. „თავში ქვა იეც და
დანაო... მე აქ ბებიის ფული არა მაქვს, ის ექიმსა მთხო
ამიტეხეს ომი. რომ არ დავთანხმებოდი, სწორედ შემჭამდ
მართალია, ჩემმა ცოლმა ძნელი მოლოგინება იცის, პირ
ზედაც კინაღამ თან გადაჰყვა, მაგრამ რა ვქნა, საიდან?..

ადვილი მისახვედრი იყო ვასილ ვასილიჩის გაჭირ
ზახარი ზახარიჩმა უსიამოვნოდ ცხვირის ნესტოები გაიბ
თავი დაღუნა და მოჰყვა ფოტოგრაფიულ სურათების სინ
გუნებაში კი ჰფიქრობდა: „თავშიმც ქვა გიხლიათ! გად
ერთმანეთსაო“. ივან გრიგორიჩი სიდედრის ხსენებაზე ს
ლად დაიღრიჯა, სკამიდან წამოდგა, ბურტყუნით სია
მოჰყვა და რაც თავაზიანი სიტყვები მოაგონდა, სულ ე
სიდედრებს უძღვნა...

— მერე, მე რომელი ექიმი მნახეთ!—გაიხუმრა ნი
ნიკალაიჩმა.

— აი, ეშმაკსაც წაუღია რაც ქვეყანაზე ექიმებია!—
მოისროლა ვასილ ვასილიჩმა:—ექიმი კი არა და ერთ ად
ერთი ლამაზი ბებია ვიცი, „ჟიდოვკა“, თქვენ იმას არ იცნ
მერე რა ქალია, რა ქალი!—აქ ვასილ ვასილიჩმა მკლ
რგოლის ყაიდაზედ მოჰხარა და აღტაცებით წამოიძახა:—
მოთხეა, სამოთხე!.. მოდი იმ ქალს მოვიწვევ და გავიცნ
კიდეც. მაგრამ უბედურება ის არის, რომ გროში არა
და ამიტომ თუ შეიძლება ოცამდის...

— დიდის სიამოვნებით, ვასილ ვასილიჩ, მაგრამ, სა
დუროდ, ჯიბეში იმდენი არა მაქვს!.

ვასილ ვასილიჩი დანარჩენებსაც შეეკითხა თვალით,
რამ არავინ ხმა არ ამოიღო.

„ესეც შენი მეგობრები და ამხანაგები!“—გაიფიქრა ვ
ვასილიჩმა და სკამზედ ზანტად დაეშო. ვასილ ვასილიჩი წი
ვე მოელოდა ამას და შეიძლება თავის გაჭირვებაზე ხმაც
ამოეღო, რომ ამხანაგებს კაი გუნებაზე არ შეჰხვედროდ
ამას არ შეეყვანა შეცდომაში.

მეტად უკულმართის ხასიათის პატრონნი იყვნენ ჩ
ნაცნობები! რაც უნდა გაჭირვება დაგდგომოდათ, მაგალით
შვილი ან ცოლი გაგიხდათ ავად, ან დაგატყდათ სხვა რამ
დურობა, ნუ იფიქრებდით, რომ ვინმეს თქვენთვის ხელი
მართნათ. სამაგიეროდ, თუ საქეიფოდ ან ქალზედ სანადირ
ან შესაცდენად თქვენთვის ფული იყო საჭირო, ხელის მოწ
გაგიმართავდნენ და ერთ წუთში ფულს ჩაგაბარებდნენ... ქე
ში ძმები და მეგობრები, ქეიფს გარედ ერთმანეთის დაუძ
ბელი მტრები გეგონებოდათ. ერთი მეორეს არას ღრ

არ გაუზიარებდა თავის გულის პასუხს, თავის სიხარულს და ვარამს. წრფელი სიტყვა ხომ სულ განდევნილი იყო იმათ წრიდან. ერთმანეთისა ეშინოდათ და ამიტომაც ყოველ სიტყვას თუ საქმეს რაღაც საიდუმლოების ბეჭედი ესვა. არ ვიცი, ამ უკუღმართობის მიზეზი რა იყო, მაგრამ ის კი ყველამ იცოდა, რომ ვინც უფრო დახელოვნებული იყო ამ უკუღმართ ქცევაში, უფრო დიდი გავლენაც იმასა ჰქონდა მოპოვებული.

ამიტომაც ვასილ ვასილიჩს მაგდენი არა სწყენია-რა მეგობრებისაგან. ის მხოლოდ სკამიდან წამოდგა და პალტოსკენ განგებ ორი-სამი ნაბიჯი გადასდგა. ხმა არავინ ამოიღო, მხოლოდ ერთმანეთს გადაჰხედეს და თვალით ანიშნეს: „წამოვა და ეგრე, კიდევაც შეგვეხვეწება“!

ვასილ ვასილიჩი ერთ წუთს ტახტთან შედგა და ვითომ პალტოს აღება დააპირა. მაგრამ გემრიელ ვახშმის სუნი ეცა, სიამოვნების ნიშნად ხელები დაიფშვნიტა და ფიქრში გადაწყვიტა: „არა უშავს რა, იოლად წავლენ, იმდენ „ყორნებში“ ერთ ერთს როგორ არ ეცოდინება ბებიაობა!“ და გულ დამშვიდებული უკან გაბრუნდა ამ სიტყვებით:

— დიახ, ბიტონებო, ჩემს მტერსაც ნუ შეურთამს ცოლი!

— ახლა ზოგი ზახარი ზახარიჩსაც ჰკითხეთ!—მიუბრუნდა ნიკალაი ნიკალაიჩი, რომელსაც გაუხარდა, რომ მიეცა მიზეზი ნინაზედ სიტყვის ჩამოგდებისა.

— რაო, კარგია ცოლის შერთვაო?—იკითხა ვასილ ვასილიჩმა.

— ალბად კარგია, რომ ამოურჩევია კიდეც საცოლე... მერე იცით, ვინა? ნინა ნიკალაევნა! — გააბრტყელა უკანასკნელი სიტყვები და ოდნავ ჩაიცინა.

— ნინა ნიკალაევნა! ვიცნობ, როგორ არა... ლამაზია!— სიამოვნებით წამოიძახა ვასილ ვასილიჩმა და სკამზედ ჩამოჯდა:—მაშ გიყვართ, ზახარი ზახარიჩ, ნინა? აღარა ხუმრობთ?— ღიმილით ეკითხებოდა და გაოცებული სახეში შეჰყურებდა. ვასილ ვასილიჩი ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ ზახარი ზახარიჩს რომ ქალი შეჰყვარებოდა, ამას კი ვერა.

— დიახ... მერე რა?..—ჰკითხა გამოჯავრებულმა ზახარი ზახარიჩმა და თავი მაღლა ასწია.

ვასილ ვასილიჩს, რასაკვირველია, არა სჯეროდა. „მაგრამ ვინ იცის!“ ჰფიქრობდა თანაც: „ეს ისეთი ჯადარეულია, რომ ამისაგან ყველაფერი მოსალოდნელია!“

— მერე რაო?—ისე გაკვირვებით გაიმეორა ეს სიტყვები ვასილ ვასილიჩმა, თითქო ფიქრისაგან ერთბაშად გამოირკვაო:— მერე ისა, ჩემო კარგო, რომ ძალიან შესცდებით!—ვასილ ვასილიჩმა პაპიროზი გააბოლა და განაგრძო:—ერთი მითხარით, მართლა, არა ხუმრობთ, სიცოცხლე მოგბეზრებიათ, თუ როგორ არის თქვენი საქმე? ისეთ რა ცოდვასა ჰგრძნობთ, რომ თქვენის ხელით ინკვიზიციას იარსებთ!

— მერე, რა ინკვიზიციას და!..—დაუმატა სიხარულით ნიკალაი ნიკალაიჩმა, რომელიც სტოლზედ დაყუდებული მთლად ყურადღებად იყო გადაქცეული.

ივან გრიგორიჩს ჭკუაში არ მოსდიოდა ამისთანა სისულელეზედ ლაპარაკი; ის წუთს წუთზედა სთვლიდა, როდის წავიდოდნენ საქეიფოდ. ხშირად ამთქნარებდა; ამ დროს იგი ჯერ პირზედ მიიფარებდა ხელსა, მერე გვერდში მუჯლუგუნს წაჰკრავდა ნიკალაი ნიკოლაიჩს და თვალებით უბის საათზედ უჩვენებდა: „ერთი ნახეთ, რომელი საათიაო!“ მიიღებდა თუ არა პასუხსა, თავს გააქნ-გამოაქნევდა, სკამიდან წამოიწევდა, მაგრამ ერთს ამოიოხრებდა და გუნებაში ლანძღვა-გინებით ისევ მკვდარივით დაეშვებოდა. ნიკალაი ნიკალაიჩი, ამხანაგების ბაასით გატაცებული, ხშირად ყურს არ ათხოვებდა ხოლმე ივან გრიგორიჩს. მაშინ გაბრაზებული ივან გრიგორიჩი ისეთ მუჯლუგუნს წაჰკრავდა ხოლმე გვერდში, რომ ნიკალაი ნიკალაიჩი, ტკივილისაგან გამწვავებული, უმსგავსად დაიღრიჯებოდა და გიჟივით სკამზედ შეითამაშებდა. სხვა დროს, რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ დღეს ნიკალაი ნიკალაიჩი ისე იყო მთლად ყურადღებად გადაქცეული, რომ ტკივილს თითქო ვერა ჰგრძნობდა და თუ ჰგრძნობდა, იმ წამსვე ივიწყებდა. ივან გრიგორიჩმა იცოდა ეს და შემთხვევით სარგებლობდა.



ნუ თუ მართლა დამნაშავე ხარ?—სურათი ბრუტისა.

— დიახ, მიყვარს! — სერიოზულად მიუგო ზახარი ზახარიჩმა, რომელიც სტოლიდან თავს არ იღებდა და დაუჭრელს ჟურნალს კალმის ტარითა სჭრიდა.

— ირთავთ კიდეცა?

— მაშ რა ვქნა?—მიუბრუნდა მეგობრებს ზახარი ზახარიჩი:—მომწყინდა, ბატონებო ერთ წუთს სახლში ვერ დავმჯდარვარ... სულ გარედ და გარედ... მაშინ სულ სხვა იქნება! წაეჩხუბე ცოლს, გაერთობი ამით და არ მოგწყინდება!..—გაიხუმრა ზახარი ზახარიჩმა და სკამზედ გასწორდა.

— ეხლა რა, თქვენ მაშინ ნახეთ გარედ სირბილი! — ამოთხრა ვასილ ვასილიჩმა და ცოტა შეისვენა: — იცით რა, ზახარი ზახარიჩ! მოდი, სიყვარულს თავი დავანებოთ და თქვენ გულახდილი მითხარით: ძალიან მოგწონთ ნინა?

— რაღა დროს ჩემი სიყვარულია, კაცი დავბერდი! — ძალდატანებულის ღიმილით მიუგო ზახარი ზახარიჩმა: — მე ისე გავხუმრე ნიკალაი ნიკალაიჩს!

— არა, არა! სტყუი... — ამ დროს ივან გრიგორიჩმა ისე მაგრა წაჰკრა მუჯლუგუნი, რომ ნიკალაი ნიკალაიჩს პირში შერჩა სიტყვა და სკამიდან წამოხტა...

— რა გვერდები ჩამომაცალეთ, ივან გრიგორიჩ! ჰა, უყურე საათს, რამდენიც გინდა! — შეუტია და საათი წინ დაუდო.

„უი შენ და ჭირო, თუ გაათავოთ ყბედობა!“ გაიფიქრა ივან გრიგორიჩმა, ოდნავ ჩაიცინა და თავი ჩაღუნა.

— სწორე გითხრათ, აი რაშია საქმე! — დაიწყო ზახარი ზახარიჩმა: — მე ნინა შემთხვევით გავიცანი ამ ცოტა ხანში და მინდოდა გამეგო იმისი ვინაობა... ხომ იცით, ლამაზი ქალის ვინაობა ყველასთვის საინტერესოა! ეს იყო და ეს!..

— მერე იმისთანა ლამაზისა, როგორიც ნინაა! მესმის, მესმის... შეჩვენებული „კარტინკაა“ სწორედ! — ხალისიანად წამოიძახა ვასილ ვასილიჩმა, პაპიროზს მოუკიდა და ისევ მიუბრუნდა ზახარი ზახარიჩს: — მაშ თუ ეგრეა ზახარი ზახარიჩ, მე შემიძლიან დაგეხმაროთ. ნინას დიდიხანია ვიცნობ და კარგადაც. აი გუშინწინაც ველაპარაკე... ნინა ჩემ ცოლის დასთან მოსულიყო ფულის სასესხად; იმისი ძმა თურმე სკოლიდან დაეთხოვნათ გადასახადის შეუტანლობისა გამო. მეც, ეშმაკად, სწორედ მაშინ შევეხეტე! ნინას თვალების ელვამ ისე თავბრუ დამასხა, რომ ვეღარ შევიმაგრე თავი და უკანასკნელი ხუთი მანეთი მივეცი. ეგ კიდევ არაფერი: დანარჩენ თხუთმეტსაც დავპირდი, არა! ერთი მითხარით, საიდგან და? წამომცდა... რაღა, წამომცდა... უნდა მაშინვე ენა მომეკვნიტა, მაგრამ რაღას უშველიდი, გვიანღა იყო! — აქ ვასილ ვასილიჩმა ხელები გაასავსავა და კისერი წინ წაიქნია. — დიახ! — განაგრძო ისევ: — თქვენ უნდა გენახათ მაშინ ნინა! სირცხვილისგან მაისის ვარდივით ღვიოდა, სიხარულით თვალებზედ ცრემლი მოერია და ისე საყვარლად შემომცქეროდა, რომ მზად იყო იქვე გადამხვეოდა! რა შემთხვევა იყო, შემთხვევა! მერე ის წყეული ჩემი ცოლის დაც, это старая дѣва, არ მოვეშორდა და არა! ეჰ, ჩემო კარგო, ფული რას არ ჩაადენინებს გაჭირვებაში კაცს! — შებრალების კილოთი დაამთავრა და თანაც ერთი ამოიოხრა.

— მე კი მგონია... — დაიწყო ზახარი ზახარიჩმა და ნაამბობით აღელვებულმა ისე ღონივრად შეუყარა დანა სტოლს, რომ შუაზედ გადიკეცა და კინაღამ თითები დაუსერა: — მე კი მგონია, რომ ფულით ძნელია ნინას მოტყუება... ნუ თუ სახსარს აქამდის არავინ მიაგნო? მადლობა ღმერთს! ოცზედ მეტისა თუ არა, ნაკლებისა აღარ იქნება ნინა!

— მაგასაც მოვესწრობით, ზახარი ზახირიჩ! — დამშვიდებით მიუგო ვასილ ვასილიჩმა: — სჩანს, ჯერ კიდევ სულ თქვენისთანა გამოუცდელი ყმაწვილები ახვევიან გარშემო... ან თუ არა და თქვენ რომ უშნო იყოთ, ვისი რა ბრალია! — გესლიანად ჩაიცინა ვასილ ვასილიჩმა, ფეხზედ წამოდგა და მნიშვნელოვნად მხარზედ დაჰკრა ნიკალაი ნიკალაიჩს.

ვასილ ვასილიჩი კარგად ამჩნევდა ზახარი ზახარიჩის მღელვარებას, რასაც თვალით ანიშნებდა ნიკალაი ნიკალაიჩს და სიამოვნებით პირზედ ღიმილი მოსდიოდა. ნიკალაი ნიკალაიჩის სიხარულს ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა. თითებში შერჩენილი პაპიროსი თავზედ მიეტანა, ისე რომ იმის პატარა მელოტს ფერფლი მოსდებოდა და ხელის გულზედ თავი მიედო და ღრეჯით სულ განაბული შესცქეროდა ხან ერთსა და ხან მეორეს. ივან გრიგორიჩი ხანა სთვლემდა, ხან სკამზე მოუსვენრად ინძრეოდა, ხან გუნებაში ილანძღებოდა და იყო ასე ერთ გაჭირვებაში.

— თქვენ სცდებით ვასილ ვასილიჩ! — ცოტა სიჩუმის შემდეგ მკვახედ მიუგო ზახარი ზახარიჩმა და დანა ხელიდან გააგდო.

— მაშ კარგი, მოდის სანაძლეო. — მიუბრუნდა ვასილ ვასილიჩი სერიოზულად: — თქვენ ჩამოდით ოცდა-ათ მანეთს სახარჯოს და თუ ამაღამვე არ მოვახერხო, რაც გინდათ, გადამახდევინეთ...

— ჩინებულია, ჩინებული! — გადარეულივით წამოიძახა ნიკალაი ნიკალაიჩმა და ხელი ჯიბისკენ გააქანა: — ვახშამი ნახევარი ჩემი იყოს

— მოდის თუ არა, ზახარი ზახარიჩ? — ჩააცივდა ვასილ ვასილიჩი, რომელიც ჰფიქრობდა გუნებაში: „არა გქონდა, განა ფული ჩემის გაჭირვებისთვის, ვნახოთ, ეხლა გამოაჩენ თუ არა?

— კარგი! — ცოტა ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა ზახარი ზახარიჩმა და სტოლის უჯრიდან სამი ათ მანეთიანი ოქრო ამოიღო: — მიიღეთ, მხოლოდ იცოდეთ კი, ვასილ ვასილიჩ, თუ წაგიგიათ, პასუხს გამცემთ...

— დიდის სიამოვნებით! — მიუგო ვასილ ვასილიჩმა, ხელად პალტო გადიცო და ქუდით ხელში მიუბრუნდა ყველას:

— ერთ საათს შემდეგ მელოდეთ, ყმაწვილებო, გიორგის რესტორანში!..

— აი, კაი ამბავი თუ გინდათ, ეს არის! — წამოიძახა ივან გრიგორიჩმა და ყურები ჩამოჰყარა.

გ. მაქსიმიძე

(შემდეგი იქნება)

(უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან)



— ოო... რა საძაგლობა ჩავიდინე, პირველად ვუღალატე ჩემს ქმარს! მაგრამ არა უშავს რა, დაე იცოდეს, რომ თუ ის ღალატს გაჰბედავს — მე უკვე დავასწარი და კვლავაც სამაგიეროს გადავუხდი.



კაცი. ბევრ ფულს მივცემდი იმ ქალს, ვინც პირადად მე შემიყვარებდა და არა ჩემს ფულს.

ქალი. რამდენს მომცემთ, რომ შეგიყვაროთ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Марта 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ის.